ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №184

თბილისი „22“ „დეკემბერი“ 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, ქ. თბილისის სსიპ პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის, ხათუნა ბარაბაძის სახით, და მეორე მხრივ, ი.მ.„გელა გიორგაძე“ შემდგომში „მიმწოდებელი“, გელა გიორგაძის სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის პირადი ჰიგიენის პროდუქტები (cpv კოდი:33700000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 78 (სამოცდათვრამეტი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

№	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	კლასიფიკატორის კოდი
1	ერთჯერადი თხევადი საპონი	ცალი	20	3,90	78,00	33711900
					78,00	

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადათ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. ქ. თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა, ქ. თბილისი, საირმის ქ. №84

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ საქონელზე ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების ან/და დ.ღ.გ.-ს ანგარიშფაქტურის საფუძველზე;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი“ არაუგვიანეს 6 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და 5.2 პუნქტში მოცემულ დოკუმენტებს.(საჭიროებისამებრ)

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის უფროსი: დავით რომელაშვილი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ...

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. თბილისის სსიპ პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა	ი.მ. გელა გიორგაძე
მისამართი: საირმის ქ. №84	მისამართი: თბილისი ჩარგლის ქ. 77
ს/ს „საქართველოს ბანკი“	ს/ს თიბისი ბანკი
ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE82BG0000000186722200 ს/კ 205102039	ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE10TB7529245063600026 ს/№01019037634
დირექტორი ხათუნა ბარაბაძე	*ხელმძღვანელი* გელა გიორგაძე

მიღება-ჩაბარების
აქტი №

თბილისი **„-“ „დეკემბერი“ 2016წ.**

ერთის მხრივ, თბილისის „სსიპ პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა“ შემდგომში „შემსყიდველი“ სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის უფროსის დავით რომელაშვილის სახით და ი.მ. „გელა გიორგაძე“ შემდგომში „მიმწოდებელი“, ხელმძღვანელის გელა გიორგაძის სახით, ვდებთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ „შემსყიდველმა“ მიიღო, ხოლო „მიმწოდებელმა“ ჩააბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

№	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	კლასიფიკატორის კოდი
1	ერთჯერადი თხევადი საპონი	ცალი	20	3,90	78,00	33711900
					78,00	

საქონელი მიიღო *საქონელი ჩააბარა*

უფლებამოსილი პირი *უფლებამოსილი პირი*